დეფექტური აქტი

ქ. ფოთი 24. 06.2015 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერმა მიმდინარე წლის 24 ივნის შევამოწმეთ ფოთის ტერმინალის თბომავალი ЧМЭ3т-6950. თბომავალი გამოშვებულია 1986 წ. კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 2008 წ. დნეპროპეტროვსკის თბ. შემკეთებელ ქარხანაში. ბოლო მშ. მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა .... (ტჩ-3) სამტრედიის დეპო.

თბ. ЧМЭ3т-6950 -ზე აღმოჩნდა შემდეგი დაზიანებები:

1. გასაკეთებელია დიზელის ზეთის ქიმიური ლაბორატორიის ანალიზი.
2. თბომავლის ყველა დეტალი გასაბერია შეკუმშული ჰაერით, გასაწმენდია ჭუჭყისგან და გასარეცხია.
3. გასარეცხია - დიზელის კარტერი.
4. შესაცვლელია - დიზელის ზეთი.
5. შესაცვლელია - კომპრესორის ზეთი.
6. შესაცვლელია - დიზელის ზეთის წმინდა გასუფთავების ფილტრები.
7. შესამოწმებელია და სარემონტოა დიზელის ზეთის უხეში გაწმენდის ფილტრი, თბომავლიდან დემონტაჟით.
8. შესაცვლელია - დიზელის საწვავის წმინდა გასუფთავების ფილტრები.
9. დიზელის კარტერის ლუქები გახსნილია.
10. დაზიანებულია დიზელის სახედი ლუქის რეზინები 12 ცალი, შესაცვლელია.
11. დიზელის ცილინდრის ბარბაცები დაშლილია.
12. დაზიანებულია დიზელის ბარბაცას სადები 5 წყვილი მე-2 გრადაციის, 1 წყვილი 1-ლი გრადაციის, შესაცვლელია.
13. არ არის დიზელის ბარბაცას ძირსაფარის დამჭერი ჭანჭიკები, დასაკომპლექტებელია.
14. დიზელის მე-5 და მე-6 ცილინდრის თავაკიდან აქვს გაზების გაპარვა, შესაკეთებელია.
15. არ აყენია საწვავის მაღალი წნევის ტუმბოები 6 ცალი, დასაკომპლექტებელია.
16. დაზიანებულია საწვავის 6 ცალი ფარსუნკა, შესაცვლელია.
17. სერვამატორის ძრავი დამწვარია, შესაცვლელია.
18. დიზელის ცილინდრების წვის კამერაში ჰაერის დამწნეხი ტურბო არ ვარგა, შესაცვლელია.
19. არ არის წყლის დიდი კონტურის ტუმბო, დასაკომპლექტებელია.
20. შესამოწმებელია დიზელის ცილინდრების გილზები, თბომავლიდან დემონტაჟით.
21. შესამოწმებელია დიზელის ცილინდრების თავები, თბომავლიდან დემონტაჟით.
22. დაზიანებულია ყველა წყლის გადამყვანი სადებები 48 ცალი, შესაცვლელია.
23. შესამოწმებელია დიზელის ბრუნვათა რიცხვის გაერთიანებული რეგულიატორი, თბომავლიდან დემონტაჟით.
24. დიზელის ბრუნვათა რიცხვის გაერთიანებული რეგულიატორზე დამწვარია ელექტრომაგნიტი, შესაცვლელია.
25. შესამოწმებელია და სარემონტოა დიზელის ცილინდრებიდან გაზების გამწოვი კოლექტორები, თბომავლიდან დემონტაჟით.

26. შესამოწმებელია და სარემონტოა დიზელის ცილინდრებიდან გაზების გამწოვზე ხმის დამხშობი, თბომავლიდან დემონტაჟით.
27. არ არის თბომავლის ძარის დამჭერი ღერო 3 ცალი, დასაკომპლექტებელია.
28. შესამოწმებელია დიზელის გამაგრილებელი დამხმარე ვინტილიატორის ამძრავი ელექტრო ძრავი თბომავლიდან დემონტაჟით.
29. დიზელის ცილინდრების ჰაერის დამბერი გაჭედილია ჭუჭყით, ესაჭიროება გაწმენდვა თბომავლიდან დემონტაჟით.
30. დიზელის ცილინდრების ჰაერის დამბერის გამაგრილებელი გაჭედილია ჭუჭყით, ესაჭიროება გაწმენდვა თბომავლიდან დემონტაჟით.
31. შესამოწმებელია და სარემონტო თბ. წყლის ავზი, თბომავლიდან დემონტაჟით.
32. დაზიანებულია და შეკეთებას არ ექვემდებარება კომპრესორი „К2-лок1“, შესაცვლელია.
33. დაზიანებულია კომპრესორის მაცივარი აპარეტს ჰაერს, შესაკეთებელია.
34. დაზიანებულია კომპრესორის უკუ სარქველი, შესაცვლელია.
35. შესამოწმებელია და სარემონტოა სამუხრუჭე ონკანები: №394 ონკანი, №254 ონკანი, ორთაწევის ონკანი.
36. შესამოწმებელია და სარემონტოა ჰაერგამანაწილებელი.
37. თბომავლის გვერდითი და ზედა ჟალუზების ცილინდრები დაკლინულია, შესაკეთებელია თბომავლიდან დემონტაჟით.
38. დაზიანებულია სამატარებლო კონტაქტორების კონტაქტები 3 წყვილი, შესაცვლელია.
39. დაზიანებულია გამშვები კონტაქტორის კონტაქტები, შესაცვლელია.
40. სხვადასხვა რელეებზე არ აყენია 20 ცალი კონტაქტი, დასაკომპლექტებელია.
41. დაშლილია Р3 დამიწების რელე, შესაცვლელია.
42. არ არის წინაღობა Р-17, Р-83, დასაკომპლექტებელია.
43. არ არის К1, К2, К3, К7, რევერსორზე რეოსტატული სამუხრუჭე კონტაქტორების კონტაქტები, დასაკომპლექტებელია.
44. არ არის 6 ცალი ჩამრთველ-ამომრთველი ავტომატი, დასაკომპლექტებელია.
45. ბუფერული განათების 3 ცალი კომპლექტი დაზიანებულია, შესაცვლელია.
46. არ არის სალოკომოტივო სიგნალიზაციის რიცხვითი კოდების გამშიფრავი, დასაკომპლექტებელია.
47. შესამოწმებელია: ავტოსტოპის, ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციის უწესივრობა.
48. შესამოწმებელია სტენდზე სიჩქარეების საზომისა და მარეგისტრირებელი მოწყობილობის უწესივრობა.
49. შესამოწმებელია სამატარებლო და სამანევრო რადიოკავშირის უწესივრობა.
50. შესამოწმებელია და სარემონტოა ელექტრო წევის ძრავები.
51. ელ. ძრავების გამაგრილებელი ვინტილატორი წინა ურიკის დაკლინულია, შესაკეთებელია.
52. ელ. ძრავების გამაგრილებელ ვინტილატორს უკანა ურიკის მუშაობისას აქვს ხმა, შესაკეთებელია.
53. დამუშავებულია ელ. წევის ძრავების ჰაერით გაგრილების ვენტილიატორების ამძრავი ღვედები, შესაცვლელია.

54. დახეულია ელ. წევის ძრავების ჰაერით გაგრილების ბრეზენტის გარსაცმები, შესაცვლელია.
55. დამუშავებულია ორმანქანიანი აგრეგატის ამძრავი ღვედები, შესაცვლელია.
56. ელ. ძრავის ამძრავი კბილანური გადაცემის 4 ცალი გარსაცმი დაზიანებულია,შესაცვლელია.
57. ელ. ძრავის ამძრავი კბილანური გადაცემის 2 ცალი გარსაცმი არ არის, დასაკომპლექტებელია.
58. ელ. ძრავის გოგორწყვილის ღერძზე სამაგრი ქუდის ჭანჭიკები არ არის, დასაკომპლექტებელია.
59. არ აყენია ძაბვის რეგულიატორი თავისი წინაღობებით, დასაკომპლექტებელია.
60. არ აყენია 50 მმ-ანი წყლის დიურიტები, დასაკომპლექტებელია.
61. მოხსნილი არის 1 წყლის გადამყვანი, დასაკომპლექტებელია.
62. დაზიანებულია ჰიდრორედუქტორი, შესაკეთებელია.
63. არ აყენია წნევის რეგულიატორი, დასაკომპლექტებელია.
64. დამუშავებულია 6 წყვილი მოტორღერძული საკისარი, შესაცვლელია.
65. დაზიანებულია მოტორღერძული საკისურების 12 ცალი საბაზო პოსტერი, შესაცვლელია.
66. არ არის სააკუმლიატორო ბატარეა, დასაკომპლექტებელია.
67. წყვილთვლების ქიმის სისქე ნორმით გათვალისწინებულ 25 მილიმეტრზე ნაკლებია, გასაჩარხია.
68. წყვილთვლების არტახების სისქის ერთმანეთისგან განსხვავება ნორმით გათვალისწინებულ 12 მილიმეტრზე მეტია და არ შეესაბამება ცტ/4320 წესებს, გასაჩარხია.
69. შესამოწმებელია გოგორწყვილის ბუქსები, შესაცვლელია საპოხი „ჟრო".
70. არ არის სამუხრუჭე ცილინდრის შტოკის დამაბრუნებელი 7 ცალი ზამბარა, დასაკომპლექტებელია.
71. თბომავლის მარცხენა და მარჯვენა მხარეს ბარიერი შეღუნულია, შესაკეთებელია.
72. მემანქანის კაბინაში იატაკი დაზიანებულია, შესაცვლელია.
73. მემანქანის კაბინაში კედლები დაზიანებულია, შესაკეთებელია.
74. მემანქანის კაბინის კარების საკეტი არ ვარგა, შესაცვლელია.
75. მემანქანის მხარეს უკანა ბაქანი დაზიანებულია, შესაკეთებელია ელ. შედუღებით.
76. თბომავალის კორპუსის ზოგიერთი მონაკვეთი კოროზირებული გარემოს ზეგავლენების შედეგად, საღებავს დაკარგული აქვს ძირითადი თვისებები. მიზანშეწონილია თბომავალზე განხორციელდეს საშემდუღებლო და სამღებრო სამუშაოები.
77. შესამოწმებელია: მოწყობილობების, კვანძებისა და დეტალების მდგომარეობა, ცვეთა და მათი შესაბამისობა დადგენილ ზომებთან.
78. შესამოწმებელია: უსაფრთხოების, სამუხრუჭო და ავტოგადასაბმელი, საკონტროლო მოწყობილობების, საზომი და სასიგნალო ხელსაწყოებისა და ელექტრული წრედების მოქმედების წესივრულობა.
79. შესამოწმებელია: დიზელის გაშვება; დიზელის გაერთიანებული რეგულიატორი; დიზელის ზღვრული რეგულიატორი; მაცივრის სექციები; მუშაობა დიზელის დამხმარე მოწყობილობის; მუშაობა მთავარი ვენტილიატორის; მუშაობა მართვის ხელსაწყოების; დიზელის ზეთის წნევა; დამხმარე გენერატორის ძაბვა; მაქსიმალური აღგზნება მთავარი

გენერატორის; მთავარი გენერატორის - დენი, ძაბვა და სიმძლავრე; რეგულირება გადასვლის რელეების; მოქმედება თერმორელეების; ძაბვა პროჟექტორების ნათურებზე; მუშაობა ჰაერმატარებლის; სისტემათა სიმკრივე - საწვავის, ზეთის, წყლის; გამაგრილებელი ჰაერის მიწოდება ელ.ძრავებზე; ჰაერის კომპრესორის წარმადობა; დიზელის მუშაობა დაკვამლვაზე და გამორტყორცნაზე; საწვავის წნევა სრულ სიმძლავრეზე; დატვირთვის მოხსნა წყლის ტემპერატურის არაუმეტეს 85 C°; დატვირთვის მოხსნა ზეთის ტემპერატურის არაუმეტეს 95 C°.

80. გასაკეთებელია - მუშა პროცეში აღმოჩენილი ყველა დაზიანებული დეტალის შეკეთება ან შეცვლა.

შპს „ქართული სალოკომოტივო კომპანი"-ის
დირექტორი — გ. რუსიეშვილი

უფ. ინჟინერის მ.შ. — ტ. ხალვაში

ინჟინერ-ტექნოლოგი — თ. ცეცხლაძე

უფ. ოსტატი — მ. სპირიდი